№ 21.

# სახალხო გაზეთი

№ 21.

სამშაბათი, 1 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

„სახალხო გაზეთის“

კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.

პოლიკარპე და მარიამ მდივნები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი სიდედრის, მეორე—საყვარელ დედის

**კნ. ეფროსინე წულუკიძისას.**

დაკრძალვა ოთხშაბათს, 2 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე სოფ. საწულუკიძეოში. (1—1)

გიორგი (იაგორ მიხეილის ძე გომელაური, ეკატერინე დავითის ასული გომელაურისა, ივანე გიორგი და ქეთო გომელაურები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს—პირველნი ძვირფასი შვილის, მესამე—ძმისწულის, ხოლო მეოთხე და მეხუთე—დაუვიწყარი ძმის, ოდესის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის

**მიხეილ (მიხაკო) გომელაურის**

გარდაცვალებას. წირვა დანიშნულია ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში- გამოსვენება ხუთშაბათს, 3 ივნისს, დილის 10 საათზე (ერისთავის ქუჩა № 14). დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. (2—307—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 2 ივნისს 1910 წელს.

ლ. ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

ქრისტინე

დრამა 4 მოქ. და 5 სურათ. ბ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, თ. თამარაშვილი, ა. კავთელი, ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, მიშა, ს. ნარი, ს. პეპანოვი, მანჯავიძე, სალაყაია, რატიშვილი, ქანკვატაძე, ციბაძე.

დასაწყისი 8½ საღამოს საათზე. ბილეთების ფასი 1 მანეთიდან 10 კაპ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დილით 12—2 საათამდე საღამოთი 6—8 საათამდე.

გამგე ა. ბადრიძე.

ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

პატარა ცემში

გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებაკ მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს ბორჯომით პატარა-ცემს. (25—2)

ქართული საზაფხულო თეატრი

ოთხშაბათს, 2 ივნისს 1910 წელსა

აკაკი წერეთელი

წაიკითხავს ლექციას

„ქართული არქეოლოგიური ნაშთები“

1. შესავალი, 2. შემოსევა აზიელ დამპყრობელთა: მურვანყრუსი, ჩინგისყაენისა, თემურლანგისა, ბაიაზეთისა, შახაბაზისა და სხვათა: 3. ამ შემოსევისაგან გადარჩენილი ნაშთები, 4. სალარო თვალსაჩინო არქეოლოგიურ სიძველისა, 5. ხალხის გადმოცემებში და ზღაპრებში დარჩენილი ნაშთები.

ფასები განახევრებულია დასაწყისი საღ. 9 ნახ. საათზე.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირაძოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხოზოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—191)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა

წინამძღოლი

აუწყებს ტფ. მაზრის თავად-აზნაურთ, რომ დღეს, 1 ივნისს, დილის 12 საათისათვის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია საგანგებო კრება მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწის ასარჩევად. (1—ნ.—1)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლებაზე“.

ივნისის ნომერი გამოვა 15 ივნისს. ამ წლის ხუთი ნომერი უკვე გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს. ჟურნალი წლიურად ღირს 3 მანეთი, ხოლო მასწავლებელთათვის ორი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის რედაქციაში.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

(4—1) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაჩაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ზ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—353)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—48)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—135)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—447)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—76)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—23

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—193)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—102)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კგ.—55

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რული

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—21)

ქვიშხეთში

მშვენიერ ალაგას

ქირავდება შიო ჩიტაძის აგარაკი. მსურველებმა უნდა მიმართოს პეტრე სურგულაძეს, არაგვის ქუჩა, № 5. (5—ნ.—4)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.

## სახელმწიფო საბჭო

29 მაისის სხდომა.

**თავმჯდომარეობდა აკიმოვი.** საბჭომ განიხილა კანონ-პროექტი მთავარ ხაზინაში ახალი შტატის შემოღების შესახებ. შეეხო ტურქესტანის მხარის მართვა-გამგეობის კანონ-პროექტს, მაგრამ რადგან ზოგიერთა ცვლილებანი იქმნა შეტანილი, კანონ-პროექტი სათათბიროს უკანვე დაუბრუნდა. ყარსში საქალაქო დებულების შემოღების შესახებ მომხსენებელმა კრასოვსკიმ განაცხადა, რომ რადგან ადგილობრივ რუსის მცხოვრებთა წარმომადგენლობა კანონ-პროექტით უზრუნველ ყოფილი არაა, შეუძლებელია ამ კანონ-პროექტის მიღებაო. ყარსში თუ საქალაქო დებულებას შემოვიღებთ, დაუყონებლივ საჭირო იყო კანონით უზრუნველ გვეყო რუსთა ინტერესებიო. ყველაზე უკეთესი კი ის იქნებოდა, რომ კავკასიის ნამესტნიკს წარმოედგინა ახალი კანონ-პროექტი, რომელიც საკმაოდ დაიცავდა რუსთა ინტერესებს.

**გოდლევსკიმ** განაცხადა, ყარსის ადგილობრივი მკვიდრნი მტრულის თვალით არ უყურებენ რუსის მცხოვრებთ, რუსთა ინტერესებს არავითარი საფრთხე არ მოელის, თუ ქალაქის მეურნეობის წარმოება არა რუსთა ხელში იქნებაო. ნამესტნიკის წარმომადგენელმა **ნიკოლსკიმ** მხარი დაუჭირა მომხსენებელს კრასოვსკის და საბჭოს აღუთქვა, რომ ნამესტნიკი ახალ კანონ-პროექტს წარმოადგენსო. **ზინოვიევმაც** მოითხოვა კანონ-პროექტის უარყოფა და განაცხადა—ამიერ კავკასიის არც ერთ ქალაქში არ მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომ საქალაქო თვითმართველობის გაძღოლა შეეძლოთო. **ვიტემ** განაცხადა, რომ ყარსი ციხეა და მხოლოდ სამხედრო მართვა-გამგეობა უნდა არსებობდესო. **თავ. ერისთავმა** წინადადება მისცა ყარსში გამარტივებული საერობო დებულება იქნას შემოღებული. დიდის უმრავლესობით კანონ-პროექტი უარჰყვეს. ამის შემდეგ საბჭო შეუდგა უძრავ ქონებაზე გადასახადის დაწესების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. კამათი არ დასრულებულა, სხდომა შესწყდა. შემდეგი კრება დანიშნულია 2 ივნისისათვის.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

29 მაისის დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს თავადი **ვოლკონსკი**. წესრიგში სდგას 33 წევრის მიმართვა ფინანსთა მინისტრისადმი იმის შესახებ თუ რა შედეგი მოჰყვება იმპერიის საფაბრიკო და საქარხნო წარმოებისთვის ფინლანდიის საბაჟო საზღვრის შეცვლასა და ვიბორგის გუბერნიის შემოერთებას; აგრეთვე შეკითხვა იმპერიის მიერ ფინლიანდიის ვალების კისრების შესახებ, თუ განზრახული რეფორმა განხორციელდა. **გრაფი უვაროვი** აცხადებს, რომ ამ განცხადების შემტანელთ იმედი ჰქონდათ, რომ სათათბიროს უმრავლესობა სათანადო სიფრთხილით მოეპყრობოდა ფინლიანდიის კანონ-პროექტს; მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გამოაშკარავა: სათათბიროს უმრავლესობა 26 მაისის ისტორიულ ღამეს გაიხსენებს არა როგორც გამარჯვებას, არამედ როგორც მწარე დამარცხებას. ორატორს იმედი აქვს, რომ სათათბიროს უმრავლესობა სახელმ. საბჭოსაგან მიიღებს იმის მაგალითს, თუ როგორია წესიერი ყოფა-ქცევა ამ საკითხში. ბოლოს ორატორი ამბობს: ფონ-ანრეპის შესწორების მიღებით, თქვენი ინიციატივა ფინლიანდიის კანონმდებლობაში მხოლოდ მის უდიდებულესობას მიასაკუთრეს; მე ღრმად მრწამს, მისი უდიდებულესობა უარს იტყვის თქვენი პროექტის მიღებაზე.

**პურიშკევიჩი** ადგილიდან: რენეგატო! უვაროვის ხელმოწერის უკან წაღების გამო—საკითხი უქმდება.

სათათბირო გადადის დასავ. გუბ. ერობის კანონ-პროექტის მესამედ განხილვაზე. თავმჯდომარის ადგილს **შიდლოვსკი** იკავებს. მიიღეს მეორე განხილვის რედაქციით ყველა მუხლები მეოცემდე. **პროცენკო** იცავს 21 და 22 მუხლს, რომელნიც უარყოფილ იქმნენ მეორე განხილვის დროს, რომელთა მიხედვით ერობის თავმჯდომარე და ყველა დაქირავებული პირნი უსათუოდ რუსები უნდა იყვნენ. **პურიშკევიჩი** ემხრობა პროცენკოს: წინააღმდეგ შემთხვევაში ერობა პოლონელების ხელში ჩავარდება, რომელნიც საქმეში პოლიტიკას შეიტანენ. პროცენკოს წინადადება უარყოფილ იქმნა 141 ხმით 112 წინააღმდეგ.

23 მუხლის განხილვის დროს **ვოლეიკოვი** 2 მოითხოვს შენიშვნის გაკეთებას, საერობო მოსამსახურეთ ებრაელები არ გაუშონ. შესწორების წინააღმდეგ გამოდიან: გრაფი უვაროვი, შინგარიოვი, თავ. ტენიშევი, ჩელნოკოვი, გაიდაროვი, კუზნეცოვი და სხ. შესწორებას ემხრობიან: პურიშკევიჩი, ზამისლოვსკი, მარკოვი 2. კენჭის ყრით ვოლეიკოვის შენიშვნა უარყოფილ იქმნა 156 ხმის უმეტესობით 107 წინააღმდეგ.

მუხლი 23, I, რომლის მიხედვით სახალხო განათლების საქმეთა გამგე უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო, გამოტოვებულ იქმნა.

25, 26 და 27 მუხლების განხილვის დროს ეპისკოპოსი **მიტროფანი**, მამა **პოდოლსკი**, გრაფი **ბობრინსკი 1** და **ნიკოლენკო** იცავენ პირველყოფილს წინადადებას სამღვდელოებისაგან სამი წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. ამ წარმომადგენლობის წინააღმდეგ გამოდიან **ეგოროვი**, გრაფი **უვაროვი** და **კუზნეცოვი**.

მომხსენებელი **ჩიხაჩოვი** იცავს ბალაშოვის საკომპრომისო შესწორებას სასულიერო წოდებისაგან ორი წარმომადგენლის არჩევის შესახებ. კენჭის ყრის მოტივების გამო გამოდიან **კარაულოვი, კროპოტოვი, პურიშკევიჩი, შულგინი 2, იანუშკევიჩი**. კარაულოვის სიტყვის განმამავლობაში ზამისლოვსკი ადგილიდან რამდენჯერმე აცხადებს, რომ კარაულოვი ლაპარაკობს არა კენჭის ყრის მოტივებზე, არამედ არსებითად. თავმჯდომარე ორჯერ უწოდებს მას წესიერება დაიცვას. ზამისლოვსკი არ სცხრება. თავმჯდომარე შეუძლებლად სცნობს ამ პირობებში სხდომის გაგრძელებას და წინადადებას იძლევა გამორიცხულ იქმნას ზამისლოვსკი დღევანდელ სხდომიდან. ოპოზიციის და ოქტომბრელების უმეტესობით ზამისლოვსკი გამორიცხულ იქმნა და მემარჯვენეთა ტაშის ცემით დაჯილდოებული სტოვებს ზალას. კარაულოვი ისე ათავებს თავის სიტყვას, რომ მისი ხმა სრულიად არ ისმის მემარჯვენეთა ძლიერი ხმაურობის გამო. ბალაშოვის შესწორება უარყოფილ იქმნა. 25, 26 და 27 მუხლი გამოსტოვეს.

კანონ-პროექტის დანარჩენი ნაწილი მიღებულ იქმნა თითქმის უკამათოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სათათბირომ აღადგინა მეთერთმეტე განყოფილების პირველი მუხლი, რომლის მიხედვით სასწავლებელთა საბჭოებში მხოლოდ რუსებს შეუძლიათ თავმჯდომარეობა.—**პურიშკევიჩი** კენჭის ყრის მოტივების გამო ამბობს, რომ მთავრობის პროექტისაგან მხოლოდ ნამტვრევები-ღა დარჩა. სათათბირომ მოიმოქმედა ყველაფერი რუსის გავლენის შესასუსტებლად ამ მხარეში. ამიტომ ორატორი უწოდებს ყველას,

ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის დროში დასავლეთ მხარეში, ხმა პროექტის წინააღმდეგ მისცეს. **შულგინი 2** დარწმუნებულია, რომ ერობას ნაკლულოვანებათა მიუხედავად მაინც შეუძლია სამსახურის გაწევა და ამიტომ უწოდებს ხმა მისცემას (ტაში ცენრრში). **ზავიშა** პოლონეთის კოლოს სახელით აცხადებს, რომ პოლონელები დასავლეთ გუბერნიებში მისწრაფვიან არა ბატონობის, არამედ სამოქალაქო სწორუფლიანობისკენ; ამიტომ პროტესტს აცხადებენ პროექტისა და მისი მოტივების წინააღმდეგ და ხმას მის წინააღმდეგ აძლევენ. **ეფრემოვი, ანდრეიჩუკი** და **უგაროვი** წინააღმდეგნი არიან პროექტისა, რადგან მას რეაქციონურ მოვლენათ სთვლიან. **ეპისკოპოზი ევლოგი** კი, ბოღმით და მწუხარებით აღსავსე გულით ხმას აძლევს მას, იმიტომ რომ საერობო დაწესებულებებისგან მართლმადიდებელი სამღვდელოების გამოდევნა, შეურაცხმყოფელ, უსამართლო და საქმისთვის საზიანო ნაბიჯად მიაჩნია. მაგრამ მეორე მხრივ პროექტის უარყოფას პოლონელების და მათ თანამოაზრეთა გამარჯვებით ახსნიდენ, ორატორს კი არ სურს ხელი შეუწყოს ასეთს გამარჯვებას (ცენტრის და ნაციონალისტების ტაშისცემა). **ეგოროვი** წინააღმდეგია პროექტისა მის მიერ შექმნილი სწორუფლიანობის გამო, **იურკევიჩი** და **იანუშკოვიჩი** პირიქით გლეხების სახელით ემხრობიან მას.

კენჭის ყრით პროექტი საერთოდ მიღებულ იქმნა ნაციონალისტთა და ცენტრის 168 ხმის უმეტესობით 141 ხმის წინააღმდეგ. ას კაცზე მეტი შემოწმებით კენჭის ყრას ითხოვს; კარებში გასვლით პროექტი მიღებულ იქმნა 165 ხმით 139 ხმის წინააღმდეგ, 5 თავი შეიმაგრა (ძლიერი და ხანგრძლივი ტაში ცენტრში და ნაციონალისტების ბანაკში) შემდეგი დახურული სხდომა, ორშაბათს საღამოს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29—30 მაისი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მფარველ სახელმწიფოების ელჩებმა კრიტეს აღმასრულებელ კომიტეტს მიმართეს ნოტით, რომელშიაც აცხადებენ—თუ მთავრობა მაჰმადიან დეპუტატებს ნებას არ დართავს სახალხო კრების საქმეებში მონაწილეობა მიიღონ, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით აქტიური ნაბიჯი გადავდგათ წინ, რადგან საქმის გარემოება მოითხოვს ამასო.

**სიატლი.** სულ ერთიანად გადაიწვა ათი უბანი. ზარალი ერთ მილიონ დოლარამდეა.

**სოფია.** დილის 11 საათზე მოვიდა ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე. სადგურზე მას მეფე დაუხვდა. მუსიკამ ოსმალური ჰიმნი შეასრულა. აქედან ხელმწიფე და მემკვიდრე სასახლეში გაემგზავრნენ. ქუჩები სავსე იყო ხალხით, სასახლის წინ ჯარი იყო გამწკრივებული.

ქალაქი ოსმალური და ბოლგარული ბაირაღებით იყო მორთული.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში უკრაინელმა კოლესსომ განაცხადა, რომ უკრაინელები უარყოფენ ნეოსლავიზმს როგორც რუსოფილობას, რომელიც მისი აზრით ვერ გაუმაგრდება უკრაინელთა ნაციის სიმტკიცეს. გლემბოვიცკიმ დაიცვა რუსთა სახალხო პარტია გალიციაში და პროტესტი განაცხადა ბუკოვინაში ადმინისტრატიული დევნის წინააღმდეგ.

**კალე.** ამას წინად ჩაძირულ წყალქვეშ მავალი ნავი „პლიუვიოზი" ნავთსადგურში მიიტანეს. ამოიღეს ერთი დამხრჩვალის გვამი. ნავის უკანა ნაწილი ხუთი მეტრის სიგრძეზე გახვრეტილი.

**ლონდონი.** ცხენების საერთაშორისო გამოფენაზე კანადის თასი ას გირვანქად ღირებული მისაჯა პეტერბურგის აფიცერთა საკავალერიო სკოლის როტმისტრს ბერტრენს.

**აველინო.** 12 საათსა და 10 წუთზე კალიტრაში მიწა კვლავ იძვრა. ხალხი მეტად შეშინებულია.

**პარიზი.** ბრიანმა მიიღო მემანქანეთა და ცეცხლის შემკეთებელთა დეპუტაცია. მან განაცხადა, რომ შესაძლებელია მუშაობის შეწყვეტამ მსახურთ ზიანი მოუტანოსო. მთავრობა მზათ არის ჩრდილოეთის რკინის გზების კომპანიასთან ერთად შეიმუშავოს ზომები მემანქანეთა და ცეცხლის შემკეთებელთათვის. მილიერანმა მიიღო ჩრდილოეთის რკინის გზების კომპანიის წარმომადგენელნი, რომელთაც განაცხადეს, რომ მზად არიან მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესონ. მუნიციპალურმა საბჭომ რადიკალ-სოციალისტ ბებელიარის წინააღმდეგ პრეზიდენტად რადიკალი ბელონი აირჩია.

**პარიზი.** ძლიერი ქარისა და ნიაღვარის გამო ვალონს იული—დეპარტამენტ ალეს რკინის გზაზე მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. მოკვდა სამი, დაშავდა რამდენიმე კაცი.

**პარიზი.** პა-დე-კალეს დეპარტამენტში მეხმა ხუთი კაცი მოკლა.

**ვენა.** ინგლისის პუბლიცისტი სკოტუს-ვიატორი ატყობინებს ვენის გაზეთებს, რომ იგი თვითონ დაესწრო ჰუნგრეთის არჩევნებზე და თავის თვალით ნახა მთავრობის მხრივ ძალდატანება. იგი სხვათა შორის დაესწრო არჩევნებს სკალიცაში, სადაც მთავრობამ გააშავა სლოვაკების კანდიდატი ხოდჩა და ასე სწერს ამ არჩევნებზე: ამომრჩეველი სლოვაკები ქალაქ გარედ მოათავსეს. 300 ამომრჩეველი ქალაქიდან ძალით გაძევეს. ამომრჩეველი სლოვაკები რიცხვით 2,800 კაცი და 1,200 ქალი მთელი დღე პაპანაქება სიცხეში ეყენათ. მათ ყარაულად ჯარი ერტყა გარს. ჰუნგრეთის კორესპონდენც ბიურომ ეს უარყო, მხოლოდ კატეგორიულად განაცხადა, რომ ამომრჩეველ სლოვაკებს ხმის მიცემას არავინ უშლიდა. დახურულ ბანაკში ამომრჩეველთა რიცხვი მცირე იყო. 2,600 ამომრჩევლიდან უმრავლესობამ მთავრობის კანდიდატს მისცა ხმაო.

**ბერლინი.** „პასტში" დაბეჭდილია ინგლისის წინააღმდეგ მიმართული წერილი ამ სათაურით: „არაბეთი არასდროს არ უნდა გადაიქცეს ინგლისის სატრაპიათ". გაზეთი ამბობს: თუმცა სამთა კავშირის სახელმწიფოებს არ შეუძლიანთ ითათბირონ ოსმალეთთან შეერთებაზე, მაინც გერმანიამ ახალგაზრდა ოსმალებს უნდა ურჩიოს იარაღით დაიცვან ის, რაც მათ სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს. კრიტე თუნდა დაკარგონ, მაგრამ სუდის ნავთ სადგური არაფრის გულისთვის არ უნდა დაუთმონ ინგლისს. „არაბეთი და მესოპოტამია არას დროს არ უნდა გახდეს ინგლისის კუთვნილებად ეს ფორმულა მთელი ევროპის დიპლომატიის საერთო პრინციპად უნდა გახდეს მეოცე საუკუნის დამლევამდეო.

**კალე.** ჩაძირულ წყალქვეშ მავალ ნავ „პლიუვიოზში" ორი დამხრჩვალის გვამი ნახეს.

**ლვოვი.** სენკევიჩმა პოლონურ გაზეთებში მოათავსა წერილი გრუნვალდენის ბრძოლის 500 წლის თავის დღესასწაულის შესახებ. სენკევიჩის აზრით, შეუძლებელია ხელი დავაფაროთ ხალხის გულიდან გადმოხეთქილ ეროვნულ გრძნობას. პოლონელი კონსერვატორები პოლიტიკურ შეცდომას სჩადიან, როდესაც საერთო სურვილების წინააღმდეგ მიდიან. ისინი თავიანთ გავლენასა ჰკარგავენ მხოლოდ. დიდი სულმოკლეობა იქნება და პოლონელების მხრივ, რომ ეს დღესასწაული არ აღინიშნა, ამით პოლონეთის ერი უარს იტყოდა თავის ეროვნულ არსებობის უფლებაზე. უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიოთ პოლონელების მდგომარეობას პრუსიაში, მაგრამ გაკასტები შეურიგებელნი არიან პოლონელები ყოველ გაბედულ ნაბიჯის გადადგმას ბრძოლაში გამოწვევად სთვლიან, პოლონელების ყოველ დათმობას—თავიანთ გამარჯვებად იჩნევენ. დღესასწაულმა არ უნდა მიიღოს გერმანელების საწინააღმდეგო დემონსტრაციის ხასიათი, რადგან რუსეთში ეს დემონსტრაცია ხელზე არ დაიხვიონ რუსებისადმი სიმპატიით გამსჭვალულად არ ჩასთვალონ და არა სთქვან, რომ პოლონელები თანაგრძნობით ეკიდებიან რუსეთის პირობებს.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** მთავრობამ ნება დართო გაიხსნას ისევ სერბიული სკოლები. ამასთან მასწავლებლებს ორითვე მისცა ვადად დიპლომების წარსადგენად.

**სალონიკი.** ჩერნოგორიის საზღვარზე შეტაკების დროს ორი სალდათი მოჰკლეს და ორი დასჭრეს.

სამხედრო სასამართლო ფერიზოვიჩიდან პრიშტინში გადაიტანეს.

**სტამბოლი.** ოსმალეთის ტერიტორიაზე სტამბოლ-სოფიის ლიანდაგის 263 კილომეტრზე ლულეი ბურგასის ახლოს ხიდზე ბოროტგანმზრახველებმა გადააბრუნეს სწრაფი მატარებელი. ორთქლმავალი ორი ვაგონით წყალში გადავარდა. დანარჩენი ვაგონები დაზიანდნენ. მძიმედ დაშავდა ექვსი, მსუბუქად რამდენიმე კაცი.

**სტამბოლი.** ერთობა და პროგრესის კომიტეტის ხელმძღვანელნი უარყოფენ იმ ხმებს ვითომ ახმედ-სელიმის მკვლელობაში დამნაშავე კომიტეტი იყვეს. იგინი ამ მკვლელობას პროვოკაციას აწერენ. ღამე ქალაქში პატრულები დადიან.

**დიჩანის მონასტერი.** დიაკოვოში მცხოვრებლებს კვლავ იარაღს ართმევენ. ქალაქში 24 სახლი დასწვეს. 14 წამქეზებელი სამხედრო სამართალში მისცეს. ამ დღეებში მოელიან მათ სიკვდილით დასჯას. სალდათები აფიცრების მეთაურობით დადიან უბან-უბან და სახლებს ჩხრეკენ. მარტო გუშინ 800 თოფი ჩამოართვეს. ქალაქის მცხოვრებნი დიდ შიშში არიან, რომ ჯარის ასეთ სიმკაცრეს ხედავენ. დიჩანის მონასტრის ახლო მიდამოებში მოქმედებს 15 ბატალიონი სამთო ბატარეით. მცხოვრებლები არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ. დიაკოვოს ახლო სოფელში არავინა სჩანს. ყველანი მთებში გაიქცნენ. ფიქრობენ, რომ მთებში 200,000 კაცამდეა. ჯარმა სოფლებში 60 სახლი გადასწვა. ცეცხლის ალი შორსა სჩანს. სახლების დაწვა-დანგრევას მეთაურობს იპექის მუტესარიფი.

**დიჩანის მონასტერი.** მთებში გაქცეული მცხოვრებნი გუშინდლიდან ნელ ნელა სახლში ბრუნდებიან და იარაღს აძლევენ ჯარს. ზოგ-ზოგ სახლში ფანჯრებიც კი გააღეს. ჰაერში თეთრი ბაირაღები ფრიალებს. ჯარი მალესიისაკენ გასალაშქრებლად ემზადება. როგორც ხმა დადის, მალერიის მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ ჯარს მორჩილება გამოუცხადონ.

**სალონიკი.** გემების დამტვირთველმა მუშებმა დაადგინეს, ბოიკოტი გამოუცხადონ საბერძნეთის საქონელს თუნდაც იგი სხვა სახელმწიფოს გემით მოიტანონ. პოლიცია საბერძნეთის ქვეშევრდომების სიას ადგენს. ბერძნები შიშობენ, რომ ამ ზომებს მათ ოსმალეთიდან გასაძევებლად იღებენ.

### სპარსეთი

**თავრიზი.** რეშტის გზით არდებილიდან თეირანში წავიდა ეფრემას რაზმი, რომელსაც თან მიჰყავს შახსევანთა რაზმის 60 მეთაური.

**ურმია.** ოსმალებმა გამოაცხადეს, რომ მათ მიერ ძალით დაპყრობილ ურმიის ოლქის რაიონებში შვიდი წლის განმავლობაში გადასახადებს აღარ გადაახდევინებენ.

**თეირანი.** მაზანდარონში სავლაევის მოკვლის გამოძიებამ გამოარკვია, რომ სარინის ენჯუმენის სამმა წევრმა წააქეზა მკვლელები. რუსეთის მისსია მოითხოვს დათხოვნილ იქმნას გუბერნატორი და დამნაშავენი დაისაჯნენ.

### რუსეთი

**ოდესა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა დააწესოს სანიტარული გადასახადი 40-50 კაპ. თითო სულზე ამ გადასახადისაგან მოსალოდნელია 400,000 მანეთი, რომლითაც სანიტარულ პირობებს გააუმჯობესებენ.

**ვიატკა.** გლაზოვის საერობო კრებამ დაადგინა მიმდინარე წლიდან მაზრაში საყოველთაო სწავლება შემოიღოს.

**ვარშავა.** სენატორმა ნეიდგარდტმა რევიზია გაუკეთა საერობო სადარაჯოს, რომლის უფროსი პოდპოლკოვნიკი კოვალევსკი ქრთამებისათვის სისხლის სამართალში მისცა.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატაში დისციპლინარულ წესრიგით გაირჩა ნაფიც-ვექილთა ზარუდნის, როზენტალის, სიგორენკოს და ელისეევის საქმე, რომელთაც 1905 წ. საოლქო სასამართლოში სასამართლოს წევრებს იწვევდნენ გაფიცვისათვის. პალატამ მათ ერთი წლით პრაქტიკა აუკრძალა.

**ყაზანი.** გუშინ ხელმეორედ გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა ექვსი კაცი.

**ვარშავა.** სენატორის ბრძანებით დააპატიმრეს ოლქის ყოფილი ინტენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ლიუბა, პოდპოლკოვნიკი ზისკინდი და სამხედრო საბჭოს საქმეთა მწარმოებელი ბონჩ-ბოგდანოვსკი.

**ვარშავა.** უნივერსიტეტთან გახსნეს საზაფხულო კურსები სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის. კურსებს ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტის პროფესორები და გიმნაზიის მასწავლებლები.

**კალუგა.** დაიწვა სიზრან-ვიაზემის რკინის გზის ორთქლმავლების დეპო და ოთხი ვაგონი.

**ბლაგოვეშჩენსკი.** ამურის ახალ რკინის გზაზე მუშები ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ. ზომების მისაღებად მოვიდა ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი სელივანოვი და ამურის გუბერნატორი სიჩევსკი. გაიგზავნა ოთხი როტა ჯარი.

**კოსტრომა.** ვეტლუგის მაზრაში რამდენიმე შეიარაღებული ბოროტგამზრახველი თავს დაეცა ღვთის მშობლის ქალთა მონასტერს და 10,000 მანეთი გაიტაცა. 30 მაისს შარიას სადგურზე შეიპყრეს ოთხი დამცემელთაგანი- მოტაცებული ფული წაართვეს.

**როვნო.** რეჩიცში აგრარულ ნიადაგზე მემამულეს ისააკოვს და გლეხებს უთანხმოება მოუვიდათ. გლეხებმა მოჰკლეს მიწის მისაზომად მოწვეული მაკარევსკი. გლეხები ცულებით და მარგილებით იყვნენ შეიარაღებული. გამოიწვიეს სტრაჟნიკები, მაგრამ გლეხებმა მათაც სცემეს. მოჰკლეს აგრეთვე შუამავალი ტრიპოლსკი. მძიმედ დაჭრილია ერთი სტრაჟნიკი, მსუბუქად ბევრი.

### ხოლერა

**ალექსანდროვსკი** (ეკატ. გუბ.). კვირის განმავლობაში ხოლერით კვლავ ავად გახდა 65, გარდაიცვალა 22 კაცი.

**კრემენჩუგი.** 9—29 მაისამდე ხოლერით ავად გახდა 35, გარდაიცვალა 11 კაცი. ეპიდემია თან და თან ვრცელდება. ავად არის სხვათა შორის ექიმი.

**ჩერნიგოვი.** ოსტერის მაზრაში კვლავ ავად გახდა 7, გარდაიცვალა 6 კაცი. ნეჟინში ავად გახდა ერთი კიევიდან მოსული კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** ჩერკასის და როსტოვის ოლქებში 24 მაისიდან ხოლერით ავად გახდა 20, გარდაიცვალა 10 კაცი.

**ელისავეტგრადი.** ორ სოფელში 28 კაცი გახდა მუცლის ტკივილით ავად. მათგან ხუთი გარდაიცვალა. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ ხოლერა აღმოაჩინა. ერობამ ზომები მიიღო ეპიდემიასთან საბრძოლველად.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ნიაღვარი და სეტყვა ტფილისში.** 29 მაისს ტფილისს კვლავ ეწვია საშინელი წვიმა და სეტყვა. საღამოს შვიდ საათზე უცებ ცას შავი ღრუბელი გადაეკრა და რამდენსამე წამის შემდეგ წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ჩქარა წვიმას საშინელი სეტყვა მოჰყვა და მცხოვრებთ თავზარი დასცა. ნახევარ საათის შემდეგ ქალაქის ყველა ქუჩებზე ისეთი ნიაღვარი წამოვიდა, რომ გავლა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ყველგან მოძრაობა შესწყდა. საშინელმა წვიმამ, რომელსაც დრო-გამოშვებით მოსდევდა სეტყვა, ღამის 9 საათამდე გასტანა. მეორე დღეს გამოირკვა, რომ სარდაფები და დაბალი სახლები თითქმის ყველგან წყლით ამოვსილა და მცხოვრებნი წყალში დახრჩობას მხოლოდ მეზობლებისა და პოლიციელების დახმარებით გადარჩენილან. ბევრგან წვრილი ცხოველები და ფრინველებიც ამოიხოცა. სეტყვამ მრავალ ადგილას დაამსხვრია ფანჯრის მინები და ძალიან დააზარალა სახლების სახურავები. ქალაქის ბევრს ადგილას გუშინ კიდევ ზიდავდნენ წყალს სარდაფებიდან და სახლებიდან. მცხოვრებთა ზარალი მეტად დიდია. თუ რა შედეგი მოჰყვა წვიმასა და სეტყვას ქალაქის ახლო მახლო სოფლებში, ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

✦ **ფოცხვერაშვილის კონცერტი.** კვირას, 30 მაისს ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა თავისი კონცერტი გაიმართა სახალხო სახლში. კონცერტის დაწყებამდე ია კარგარეთელმა წაიკითხა შინაარსიანი და საინტერესო რეფერატი მუსიკისა და მის გამომხატველობის შესახებ, სადაც მოკლედ შეეხო ჰანსლიკის და სპენსერის ესთეტიურ თეორიებს და სხ... თვით კონცერტმა, რომელიც უმთავრესად ბ-ნ ფოცხვერაშვილის ნაწარმოებისაგან შესდგებოდა, ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ხალხი ბლომად დაესწრო და მეტის მეტად კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა მემუსიკისა.

✦ **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** კვირას, 30 მაისს სადეპუტატო საკრებულოს შენობაში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოხდა. კრებამ ამ დღეს მოისმინა ანგარიში თავად-აზნაურთა თანხის რაოდენობის შესახებ 1909 წელში. დანარჩენ საგნების განხილვა გადაიდო მომავალ კვირის კრებამდე.

✦ **სეირნობა.** ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების სასარგებლოდ კვირას „ედემის" ბაღში გაიმართა არიფანა-მაისობა. თუმცა პროგრამმა მრავალ-მხრივ საინტერესო იყო, მაგრამ ხალხი სამწუხაროდ ცოტა დაესწრო.

✦ **ფოთიდან გვატყობინებენ:** ხუთშაბთს, 27 მაისს, ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ მოახდინა დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა; არჩეულ იქმნენ: ანნა ვალ. მიქაბერიძისა, გიმნაზიის დირექტორი ა. ი. იაგულოვი, გიმნაზიის მასწავლებელი ი. ე. ალექსიშვილი, მღ. მ. წულაძე, კ. ი. გამყრელიძე და ა. პ. ქვანია.

✦ **ჩხრეკა ქიზიყში.** ქ. სიღნაღიდან გვატყობინებენ: 27 და 28 მაისს სოფელ ანაგაში, ვაქირში და თვით ქ. სიღნაღში თავგამოდებითი ჩხრეკა იყო. დააპატიმრეს მრავალი.

✦ **სეტყვა.** ქიზიყიდან გვწერენ: ეს ოთხი დღეა საღამოობით საშინელი წვიმანარევი სეტყვა მოდის. ღვარებმა წაილეკეს სარჩო-საბადებელი. მოიტაცა სახლები, წისქვილები, ვენახები და ბოსტნები. ზარალი გლეხებისა დიდია.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 30 მაისს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო არტემ სარქისოვი, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები სიმონ მეგრელიშვილი, რომელნიც ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ, შეპყრობილნი სხვის პასპორტებით სცხოვრობდნენ.

✦ **გამოქცეული ჯარის კაცი.** 29 მაისს პოლიციამ შეიპყრო გამოქცეული ჯარის კაცი სენაკის მაზრის მცხოვრები სილიბისტრო დანელია, რომელიც ტფილისში იოსებ აბრამიძის სახელით სცხოვრობდა.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** 30 მაისისათვის დანიშნული ტფ. ჟურნალისტთა კრება წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა და გადაიდო მომავალ კვირისათვის.

✦ **ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა კრება.** დღეს, 1 ივნისს, შუადღისას, 12 საათზე, სადეპუტატო საკრებულოს შენობაში ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოჰხდება. კრებამ უნდა აირჩიოს, ტფილისის მაზრის წინამძღოლის თანაშემწე.

✦ **ტუსაღის გაქცევა.** 30 მაისს, ნაშუადღევის სამ საათზე გაიქცა ტფ. საგუბერნიო ციხის ტუსაღი ვასილ სუხიაშვილი, რომელიც ამ დროს ქალაქ გარედ „კუკიის, აგარაკში" იყო გაყვანილი სამუშაოდ. სუხიაშვილს სასამართლოსგან ერთის წლით ციხეში დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი და ვადა უთავდებოდა 1911 წლის 8 აპრილს.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა** 27 მაისს ტფ. საგუბერნიო ციხის უმცროსმა მეთვალყურემ პავლე ტარაშკოვიჩმა თავის მოკვლის განზრახვით ციხის ეზოში გულში რევოლვერი დაირტყა. ტყვია კანში გაჩერდა. დაჭრილის სიტყვით, თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი შინაური უსიამოვნება ყოფილა.

✦ **სეირნობა მუშტაიდში.** კვირას, 30 მაისს მუშტაიდის ბაღში სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ დიდი სეირნობა გაიმართა. სეირნობამ, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო, კარგად ჩაიარა.

✦ **შემნახველ-გამსესხებელი-კასა.** ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა კრება, რომელიც 30 მაისისათვის იყო დანიშნული, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა და მომავალ-კვირისათვის გადაიდო.

✦ **ჟურნალი ნაკადული.** გამოვიდა ჟურნალ „ნაკადულის" მორიგი ნომრები — მოზრდილთათვის და მცირე წლოვანთათვის. პირველში მოთავსებულია ლექსი დ. ელიოზიშვილისა, მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი და სხვ. მეორეში დაბეჭდილია ლექსი დ. თომაშვილისა მოთხრობა ნ. ნაკაშიძისა და სხვ. ორივე ნომერი, ჩვეულებრივად, შინაარსიანად არის შედგენილი და სუფთადაა გამოცემული.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო მიხეილ ზარიძის მიერ გამოცემული წიგნი „ეფრემ მგერდი". წიგნი მოზრდილის, შეიცავს 320 გვერდს და ღირს 1 მან. 50 კაპ.

# პატარა ფელეტონი

⁂

მიდის და მიაქვს ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი ობოლი.

თავისი მამაცობა, თავისი სიყვარული, ოფლი და სისხლი, ტვინი და აზროვნება, საუკეთესო მისწრაფებანი.

ხეცა აქვს და ქვაც, მცენარეც და ლითონიც. ცხოველებიც აქა ჰყავს და ფრინველიც

გალობაც აქ უნდა და როკვაც, მეტყველებაც აქ ნაკვთიერდება და მდუმარებაც.

წინ მიდის.

აშენებს და რთავს მიდამოს: აგური აგურზე ედება, ოქრო-ვერცხლი ცხოველ შუქად გარს ევლება ნაშენს, თვალ-მარგალიტი უბიწო გოგოს დარცხვენილ თვალებივით წარმტაცად გამოიყურება. მცენარე ბა-

რდნის ხე უჩრდილებს, ფრთოსანნი დაფრთქიალებენ, გარს კვლავ ცხოველთა ჟრიამულია.

შენდება „სოფელი".

უკან კი ინგრევა ყოველივე.

ის მაინც წინ მიდის და კვლავ აშენებს.

უკან ისევ ინგრევა და ინგრევა. და არა აქვს დასასრული ამ ნგრევა-აშენებას... **შალვა დადიანი.**

# თვალები

ვუძღვნი ა. მ—გიას.

რა კარგი იყვენ. . რა ნარნარი, ნაზი, საამო, ციურ შვენებით დახატული იგი თვალები, რომელთ იერში ტურფა სამშობლოს გამოენასკვა თავისი სული და სანიმუშოდ, ჩემ სანუგეშოდ, წარმოევლინა უცხო ქალწული!..
ვით განთიადის ტრედის ფერ ცაზე
თრთის და კანკალებს სხივ მიბნედილი შუქურ ვარსკვლავი,
ისე თვალები—უცხო თვალები—
გრძნობის სიჭარბით ილულებოდენ და დაუშრეტელ,
ვით სიღრმე ზღვისა, სიცოცხლის ჟინით იღიმებოდენ.
ვიშ, მათ სიამეს, რომ დამიამეს სამარადისოთ გულის წუხილი!
მაგრამ... ჩემ ბედს კი—წყევა და კრულვა:
გვიან მარგუნა მე მათი ხილვა!..
ჩემი ცხოვრების სევდიან მწუხრზე, როს დამაშვრალი ქვეყნით ვიდოდი,
როცა სიმწარით ნაშობ იმედებს სამარადისოთ ვეთხოვებოდი,
ოდეს სისხლით და ოფლით ნაღვაწი ტურფა ვენახი გამივერანდა,
შიგ შემოიჭრა ნადირთა ურდო,
დასტკვირ-გასთელა ნორჩი ვაზები!
მაშინ მეჩვენენ ტურფა თვალები!
როს სათაყვანო, წმინდა ტაძარი—
ობოლი სულის ნავთ-საყუდელი,—
სადაც ზვარაკად მიმქონდა მარად.
გრძნობა და რწმენა, ესოდენ წრფელი,
ავსულთ წაბილწეს, გამინაოხრეს,
ცოდვით აავსეს საკურთხეველი
და იმის ნაცვლად—მტვერად და ნაცრად დამინარჩუნეს მუნ ნანგრევები,
იმ დროს ვიხილე იგი თვალები,
რომელთ წიაღში იხატებოდა ზეცის შვენება და სათნოება,
აწმყო, წარსული და მომავალი,
კაცთ და მსოფლიოს ურთიერთობა,
სამყაროს სული, პლანეტთ დიდება, მარადიული წინ სვლის სურვილი და
გამოცანა სიკვდილ-სიცოცხლის
იდუმალებით აღსავსე, სრული;
მაშინ ვიხილე...
და კვლავ განვკაცდი!
მყის შემოსა ლხენა-იმედით მწუხარებისგან ნაძარცვი სული,
ისევ აყვავდა, გადაიპარდა ვენახი ჩემი პარტახათ ქმნილი
და აღიმართა, ვით მას ჟამს შინა, ნანგრევებიდან საკურთხეველი!
მას შემდეგ კდემით, ლოცვა-ვედრებით
შევსცქერი თვალებს, ცით მოვლენილებს;
მათი ღიმილი—ნაზი და ჩვილი—
უსპოდ ყოფილს
კვლავ მასულდგმულებს!..

**ქ. უშბაძე.**

## ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა წლიური კრების გამო.

მე მინდა დღეს მკითხველთან წრევანდელ კრებების შესახებ ვისაუბრო. ეს კრება წინანდელ კრებებს სრულიად არა ჰგავს. ყველას ეხსომება, რომ თხუთმეტი წლის წინად მოქალაქობრივი თვითმკვლელობა ჩავიდინეთ. ავიღეთ სამართებელი და ჩვენივე ხელით გვალესეთ ჩვენივე ყელის გამოსაღადრავათ; საქვეყნოთ აღვიარეთ, რომ ჩვენ, ნახევარ საქართველოს, მისი „სანუკარი" ინტელიგენციითურთ, ერთი მარტივი საკრედიტო დაწესებულების თავითავად მართვა-გამგეობა არ შეგვიძლია. მტრის გასახარელი საქმე ჩავიდინეთ: ვაფრინეთ პეტერბურგს ეპისტოლე და შუამდგომლები, ჩვენებურად ძველებურად, რომ თავმდგმური გამოეგზავნათ... ას ორმოცდა ათი წლის წინად, როცა მოხუცი ირაკლის ხელში საქართველო პოლიტიკურად კვდებოდა, კიდევ-და ცხოვრობდნენ სოლომონ ლეონიძეები და სოფიონი, რომელნიც ირაკლის სახიფათოდ გადადგმულ ბიჯს იწუნებდნენ; როცა კი ვენ, ქუთათურებმა განვიზრახეთ მოქალაქეობრივი თვითმკვლელობა, არც ერთი კაცი და ქალი არ გაოჩენილა, რომ მაშინდელი ჩვენი აქციელი დაეგმოს. პირ იქით, გვიხაროდა, რომ თავმდგმური გვეყოლებოდა: თავმდგმური უთაო კაციც რომ იყოს, მაინც „ბატონის კაცი" იქნება და დაგვაწყნარებს, დაგვაშოშმინებსო... ამ უთაო თავმდგმურების გამგეობის დროს უფრო აირია მონასტერი, აიმღვრა წყალი და ვინც კი მოასწრო და ვისაც ხელი მიუწვდებოდა, ამ მღვრიე წყალში თევზის ჭერა იწყო და გემრიელი ლუკმები მიიკერძა.

ახლა, როცა დაწესებულება სულს ღაფავს, ვითომ ჩვენივე თხოვნით, ფირმანი მოგვივიდა, რომ ლალა აღარ გვჭირია და ნება გვაქვს, თვით წავუძღვეთ ჩვენ საკრედიტო დაწესებულებას.

გვმართებს თუ არა ახლა მაინც გონების მოკრება, დაფიქრება და ზრუნვა მხოლოდ იმისთვის, რომ ასეთი დაწესებულება არ წაგვექცეს. ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ 30 წლის განმავლობაში ამ დაწესებულების წყაროდან საზრდოობს ჩვენი ხელით შექმნილი და აღზრდილი სასწავლებლები, რომლებშიც 1200-მდე ქართველი მოწაფე სწავლობს; ამ დაწესებულებიდან მიგვიცია საქველმოქმედო შემწეობა, აქედან გამოგვიტანია ჩვენ კეთილ-მოღვაწეთ (ხან და ხან, საუბედუროდ, არა მოღვაწეთაც) დასაჯილდოვებელი საშუალება, ამ ბანკის ფულის წყალობით გაგვიგზავნია სხვა და სხვა ადგილას დეპუტაციები, ერთი სიტყვით, ესაა ჯერ-ჯერობით ყველა იმ ჩვენი საქმეების მასაზრდოებელი წყარო და სახსარი, რომელთა წარმოება დღეს დღეობით აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის.

ამას გარდა, დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ, რომ თუ ბანკი არ გამობრუნდა, თუ მისი ოპერაციები არ გაფართოვდა, თუ დარჩენილი მამულების წარმოება უნგარო და მომჭირნე ადამიანების ხელში არ მოჰყვა, ყველა დაგირავებული მამულების პატრონებმა თავიანთ გირაოში ხელი უნდა აიღონ, რადგანაც ამ მამულების ღირებულება ბანკის სალიკვიდაციო ანგარიშების გასწორებას მოუნდება; ამასვე მოჰყვება სასწავლებლის დახურვა და ამოდენი ახალგაზდობის უპატრონოთ დატოვება. ამასვე უნდა დაუმატოთ ის ჩაურეცხელი სირცხვილი. რომ იმერეთის თავადებულმა ინტელიგენციამ და აზნაურობამ ერთად ერთ საკრედიტო დაწესებულებას ფეხი ვერ მოადგმევინა.

ამ სამწუხარო სურათის შემხედვარე ჩვენი საზოგადოება, ნეტამც ვიცოდე, ადრინდლად მოიქცევა, ესე იგი „შენ ჩემიობის" და კერძო მდაბალი ინტერესების მიხედვით იმოქმედებს, თუ თვით დაწესებულების გაუმჯობესობის გრძნობით?! გაიმეორებს იმ ფეხის წასატეხს და თითზე საკბენ ყოფა-ქცევას, თუ დაფიქრდება, გონებას გაამეფებს და, რამაც ეგ სასარგებლო დაწესებულება კინაღამ სამარის კარამდე მიიყვანა ერთხელ და სამუდამოდ დაგმობს: არ წამოაყენებს რამოდენიმე შეუფერებელ კანდიდატს, არ ჩამოაგდებს განხეთქილებას, უსაგნო და საპირადო ანგარიშების შეჯახებას, და უკანასკნელად არ დაამტკიცებს, რომ ჩვენ უბატონის კაცოდ ორი გროშის სესხება და დათვლა არ შეგვიძლია.

გასამტყუნარნი და პასუხის მგებელნი იქმნებიან პირადი ინტერესებით გამსჭვალულნი კანდიდატები, მაგრამ უფრო გასამტყუნარი და ცოდვის ჩამდენი იქმნება თვით რწმუნებულთა კრება, თუ მათ შეუთანხმებლობაზე აშენდა შეუფერებელი კანდიდატის ძლიერება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი რჩეული ამომრჩევლების ღირსი და შესაფერია. **ნაცნობი.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. მეჯვრისხევი.** (გორის მაზრა). ეს სოფელი სადებ-მიცემო ცენტრია მთელი მეჯვრისხევის რაიონისა. მას მრავალი სოფლები აკრავს გარეშემო. დღეს იგი თავის კეთილმდგომარეობით არაფერით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს გორის მაზრის სხვა დაბებს, როგორიც არიან მაგ., ცხინვალი, ახალქალაქი და სხვა... მაგრამ მაგარი ის არის, რომ მკვიდრთა უმოქმედობას იგი გაუუნავს ერთ წერტილზე. სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს არ არსებობისაზე რომ არ ვილაპარაკოთ, სოფელს დღემდის ისიც ვერ მოუხერხებია, რომ ბაზრის საქმე მოაწესრიგოს. კვირაში ერთი სავაჭრო დღის დანიშვნა და ერთი საზოგადო სასწორის დადგმა არც თუ ისე ძნელია სოფლისთვის. ესენი კი აუცილებლად საჭიროა ყოველი სადებ-მიცემო დაბისათვის. რაც შეეხება ყოველ წლიურ, საიარმარკო დროს, ამის-მაგვარი რადაც კი არსებობს.. „ამისმაგვარი" იმიტომ მოგახსენებთ, რომ ძნელია იმის გამოცნობა სადებ-მიცემოთ იყრის ხალხი თავს, თუ სალოცავ-საქეიფოთ. საქმე იმაშია, რომ აღდგომის მეორმოცდაათე დღეზე ადგილობრივი ეკკლესიის დღესასწაული, რომელსაც აქ „უსანეთობას" ეძახიან. ამ დღისთვის აქ ყოველ წლივ მრავალი ხალხი იყრის თავს ქართლ-კახეთ-ჯავახეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან.

ზოგი სავაჭროთ მოდის, ზოგი სალოცავად და ზოგიც საქეიფოთ. იარმუკა გრძელდება ერთ კვირამდე. ადგილობრივი მკვიდრნი კი იძულებულნი არიან მასპინძლობა გასწიონ, ვიდრე მდგომარე საადებ-მიცემო მომენტით ისარგებლონ. ხუმრობაა! ვინ არ გაიხსენებს ამ დღებში მეჯვრისხეველ ნაცნობ-ნათესავს და ვინ არ ისარგებლებს მათი სტუმართ მოყვარეობით. წრეულს ეს დღესასწაული მოდის ივნისის 7-ში და „იარმუკაც" ამ დღიდან დაიწყება.—

როგორც ამას წინათ მქონდა მოხსენებული, სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, ტფილისის საამხანაგო კრედიტის დაარსებაზე, მაგრამ მარტო ერთი სასოფლო საამხანაგო ბანკი მთელი მეჯვრისხევის რაიონისათვის, უნდა მოგახსენოთ, ზღვაში წვეთი იქნება. ამიტომ სასურველია ახლო-მახლო სოფლებმა თითონ შეეცადონ საკუთარ სასოფლო ბანკის დაარსებაზე, თით-ორთა მცოდნე პირნი თითქმის ყოველ სოფელში მოიპოვებიან, რომელთაც შეუძლიათ ამ საქმეში ხელმძღვანელობა გაუწიონ გლეხობას და მით თავი დააღწევინონ მათ მევახშეებისაგან. როგორც ვიცით ამ მხრით მოქმედება ნება დართულია დღეს. ამ საქმეზე ზრუნვა დანაშაულათ არ ჩაითვლება არც მღვდლებს, არც მასწავლებლებს და არც სხვა ვინმეს.—

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამას წინათ გაზ. დროებაში მოთავსებულმა ცნობებმა მეჯვრისხეველების მიერ შესყიდული მამულ „გორის" შესახ. ზოგიერთებს ძილი დაუფრთხო, მაგრამ ეს არ კმარა. თუ თავის გამართლება უნდათ მოანგარიშეებს, ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს ან ადგილობრივ მცოდნე პირთა თანადასწრებით, ან პრესის საშვალებით. მანამდის კი უფლებას ვიტოვებ ეჭვი შევიტანოთ იმათი მოანგარიშეების ცამდის სიმართლეში. **X.**

---

**ქ. ველსკი** (ვოლოგდის გუბერნია). ველსკის მაზრა ერთი ჩრდილოეთ კუთხეთაგანია ამ გუბერნიაში: სამაზრო ქალაქი ველსკი ვოლოგდიდან თითქმის სამას ვერსზე მდებარეობს. რკინის გზა არ არის. გაზაფხულზე, როცა აქაური მდინარეები ადიდდებიან ხოლმე, რამდენიმე კვირის განმავლობაში, გემები მოდიან არხანგელსკიდან, და ცოტათი მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე ქალაქი. ისე კი არაფრით არ წააგავს ჩვენებურს სამაზრო ქალაქებს და დაბებს. ყველაფერს პატრიარქალური ელფერი ადევს. ფოსტა-ტელეგრაფი, ერობის საავადმყოფო და წიგნთ-საცავ-სამკითხველო რომ არ არსებობდეს—ჩვეულებრივური სოფლისაგან ვერც კი გაარჩევდით. და ეს მაშინ, როცა აქ მოქმედებს ერობა და არსებობს „უდელის" უწყება თავისი უთვალავი ინტელიგენტ-ჩინოვნიკებით. აქაურ ხალხს წარმოდგენაც კი არა აქვს თეატრზე, სალიტერატურო სადამო და სხვა. ჩინოვნიკები და საზოგადოთ მაღალი წოდება კლუბში ატარებენ დროს არაყის სმაში და ქაღალდის თამაშში. დანარჩენ მოქალაქეების დროს გატარებაც მხოლოდ და მხოლოდ არაყია. განსაკუთრებით უქმე და საბაზრო დღეებში ბლომად შეხვდებით მთვრალებს,—რომელთაგან ბევრს არხეინად სძინავს თოვლში ან ტალახში. ერობაში „ჭეშმარიტები" ბატონობენ. ერობას აქაური ხალხი ისე უცქერის, როგორც მხოლოდ ხარკის ამკრეფ დაწესებულებას, რაც ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ მცხოვრებთა უკულტურობას ერთის მხრით, და ერობის უმოქმედობას მეორეს მხრივ. როგორც ზევით ვთქვი, ხალხის განათლებლათ ერობა ვერავითარ უნარს ვერ იჩენს. აქაურ წიგნთ-საცავ სამკითხველოში მხოლოდ შავ-რაზმულ გაზეთებს იპოვით („რუსკოე ზნამია", „სვეტი", „ნოვოე ვრემია" და სხვ.) წიგნებით ძალიან ღარიბია, გაზეთების კითხვა და წიგნებით სარგებლობა კი სიძვირის გამო თითქმის ხელმიუწვდომელია. რაც შეეხება გზების კეთებას, აქაც დაუდევრობაა. აკეთებენ უფრო ფორმისთვის. მუშების გაყვლეფა კი საკვირველი იციან ამ ადგილებმა. ამის დამწერს თვითონ მოუხდა ამ გზაზე მუშაობა. ამუშავებდენ დილის 6-ს. საღამოს 8 საათამდე, სამი საათი სამუშაოზე მისვლა-დაბრუნებას უნდებოდნენ მუშები, დასვენება სადილისთვის და საუზმისთვის სამი საათი—ქირა კი 70 კაპ. დღეში...

აქაურ დამუაუებულ ცხოვრებაში ცოტაოდენი სინათლის შეტანა ისევ გადმოსახლებულებს შეეძლოთ, მაგრამ საუბედუროდ ეს ასე არ არის. ამის მიზეზი, ერთი მხრით, რასაკვირველია „გარეშე" პირობებია, მეორეს მხრით თვით გადმოსახლებულები. ამათმა რიცხვმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად იკლო. თუ ამ ორიოდ წლის წინად ეს რიცხვი შვიდასამდე აღიოდა, დღეს სულ 140 კაცი დარჩა. ამათში უმრავლესობა უპარტიოა, ე. ი. თითონაც არ იციან. რისთვის არიან გამოგზავნილნი. პარტიული ხალხი (სოც.-რევ. და სოც.-დემოკ.) თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს. საზოგადოდ ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ. თითო-ოროლას გარდა, რომელნიც ჟურნალ-გაზეთებს ადევნებენ თვალ-ყურს და საზოგადოთ თვითგანვითარებაზე ზრუნავენ, ყველანი ჩვეულებრივად ატარებენ დროს. პირველი ადგილი ლოთობას და „კავალრობას" უჭირავს. ამ უკანასკნელი ხელობით ერთობ აბრაზებენ აქაურ ქმრების და მამების კეთილ გულს. ტყვილა კი არ ჩივის ერთი ბიუროკრატი: გადასახლებულებს, როგორც უფრო განათლებულებს, ადგილობრივ მკვიდრთა შორის დიდი გავლენა აქვთ, გადასახლება დღევანდელ პირობებში მთავრობის ხარჯით რევოლიუციონურ პროპაგანდის გავრცელებას ნიშნავსო. მართალია, მთავრობის ხარჯი არც ისე დიდია, მაგრამ რომ ესეც გადამეტებულათ ეჩვენებათ, ეს იქიდან სჩანს, რომ ამ წლის იანვრიდან თვიურ 8 მან. 60 კაპ. მაგიერ 8 მ. 30 კაპ. იძლევიან, 30 კაპ. ნაკლებს. წინად 52 მ. იძლეოდნენ წლიურად ტანისამოსისთვის, ახლა 38 მ. იძლევიან (თუ კიდევ არ მოუკლეს) და ეს მაშინ, როცა ცხოვრება შედარებით ძვირდება. მაგალითად, ჭვავის პური გირვანქა 3 ნახ. კაპ. ღირს, თეთრი პური 4 კაპ.—8 კაპეიკამდე, ხორცი 12—14 კაპ., კვერცხი 10 ცალი 17—18 კაპ., ერბო 38 კაპ. გირვანქა. გადმოსახლებულების საბედნიეროდ ბინებია შედარებით იაფი და კარტოფილი, რაც ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენს. არავითარი სამუშაო აქ არ იშოვება, გარდა იმისა, რომ წელიწადში რამდენიმე დღე შეიძლება გზაზე მიწა იქნეს სათხრელი, ან შეიძლება ვინმემ პურის სამკალათ დაგიქირაოს. ზოგიერთები არავითარ სამუშაოს არ თაკილობენ, მაგრამ უმრავლესობას კიდეც რომ მისცეთ სამუშაო, ხელს არ მოკიდებს. ასე გამათახსირებლად მოქმედობს გადასახლება ადამიანზე ის ეჩვევა უსაქმოთ ხეტიალს, ქალების დევნას, სმას (თუ აქამდე არ იყო შეჩვეული) დაუსრულებელ ძილს. საუბედუროთ ასეთ გათახსირებას—გაზარმაცებას ვერ გაექცევიან მუშები და გლეხებიც, რომელთა რიცხვი შედარებით დიდია აქ.

გადმოსახლებულის ასეთ დაქვეითებას დიდათ უწყობს ხელს ის გარემოება, რომ მათ ნება არ აქვთ ერთად მოქმედებისა. არა თუ სამკითხველოს და თვითგანვითარების წრეების მოწყობა არ აქვთ, კოოპერატიულ დუქანზე ფიქრისთვისაც კი სჯიან. ამას წინათ ქალაქ უსტსისოლსკიდან წერილი მივიღე: „უსტსისოლსკში ვარ ამ ჟამად და აქედან შორს სოფელში მიპირებენ გაგზავნას, წინათ დამიჭირეს, რამდენიმე დღე ციხეში ვიყავი, ეტაპით ჩამომიყვანეს (მაზრიდან მაზრაში ეტაპს ხშირად სამ თვეზე მეტ აგვიანდება). მიზეზი როგორც მითხრეს ის ყოფილა, რომ მე და კიდევ ორმა ამხანაგმა გუბერნატორს თხოვნა გავუგზავნეთ და კოოპერატიული დუქნის გახსნის ნებართვა ვთხოვეთ", ასეთივე წესებია აქ, ველსკში, და რა გასაკვირია, რომ ხალხი ზნეობრივათ და გონებრივათ დაჩლუნგდეს. ასეთ პირობებში სწორეთ გაუგებრათ იყო აქაური ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომები პირველ მაისობისთვის. ჯერ იყო და უმრავლესობა გაჩხრიკეს, თუმც არაფერი უპოვიათ. შემდეგ გადმოსახლებულებს სათითაოთ ხელწერილი ჩამოართვეს, არ გაშორდნენ ქალაქის საზღვრებს 50 საჟენზე, სამზე მეტმა ერთად თავი არ მოიყარონ, არ ატარონ ყვავილები, ფერადი „ლენტები" და სხვა. ურჩებს სამი თვით დაპატიმრებით ემუქრებოდენ. საზოგადოთ დატუსაღების გარდა, რისთვისაც სულ უბრალო საბაბია საჭირო, არსებობს კიდევ ერთი მეტათ საინტერესო საშუალება, რაც ალბათ მხოლოდ „ჭკუის სწავლების" სურვილით თუ შეიძლება ავხსნათ. ეს „საშუალება" იმაში მდგომარეობს რომ, როცა ადმინისტრატიულათ სასჯელს გადაგიწყვეტენ სხვა ქალაქში გაგგზავნიან ეტაპით და შემდეგ ეტაპითვე უკან დაგაბრუნებენ. ვისაც მორეული წარმოდგენა მაინც აქვს „ეტაპის" შესახებ, ის მიხვდება, თუ რა ძნელი ასატანია ასეთი სასჯელი. ძალიან სასტიკია აგრეთ წოდებული „ნადზორი". საღამოთი დამის 12 სათს შემდეგ ქუჩაში გამოხვიდე, რომ დაგატუსაღონ და დღე და ღამე ბაღლინჯოების ლუკმად გაგხდიან. ქალაქ გარეთ გასვლისთვის, თუ შეგნიშნეს და ოქმი შეგიდგინეს რამდენიმე დღით დატუსაღებას „ზემსკი" ნაჩალნიკი გადაგიწყვეტს.

რამდენიმე სიტყვა აქაურ იუსტიციის შესახებ საზოგადოთ. მკითხველს ალბათ მოეხსენება, რომ აქეთ არსებობს აგრეთ წოდებული „ზემსკი ნაჩალნიკების" ინსტიტუტი. თუ რა აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულებას, სხვათა შორის, შემდეგიდან შეიძლება დავინახოთ: ერთ-ერთ სოფლის სამმართველოს შენობაში „ზემსკიმ" გაარჩია, სხვათა შორის ერთი ცოლ-ქმარის საქმე. ცოლი სთხოვდა ადმინისტრაციას პასპორტს, „რადგან ქმარი მცემსო" ქმარი პასპორტს არ აძლევდა. ქალს რამდენჯერმე მიმართა „ზემსკისთვის". ამ ხანათ მსაჯულმა ასეთი სიტყვებით მიმართა ქმარს საჯაროთ: მე მესმის, რო თქვენ ჩვეულებათ გაქვთ ცოლების ცემა და კანონიც მსუბუქათ (?) მას არა სდევნის, მხოლოდ თუ სასტიკად გცემია, მაშინ იცოდე პასპორტს უუნოთ მივცემინებთ და სხ.

**„გადმოსახლებული".**

---

**ქ. თელავი.** იქნება მკითხველმა არც-კი იცოდეს, რომ თელავში ეს ერთი წელიწადია არსებობს წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება. ჯერ განყოფილების ინსტრუქცია დამტკიცებული არც-კი იყო, რომ აღიძრა კითხვა მის დაარსებაზე. მაგონდება როგორ აღფრთოვანებით ეკიდებოდენ საქმეს დასაწყისში.

წარსულ 1909 წელს დაარსდა ადგილობრივი განყოფილება. შარშან მხოლოდ რამოდენიმე თვე დარჩა სამოქმედოთ და რასაკვირველია გამგეობა ამ ცოტა ხანში ვერაფერს სარგებლობას ვერ მოუტანდა. ამ მიმდინარე წელში კი ის გამოვიდა განსაზღვრული სამოქმედო გეგმით, რომლის შედეგის დაფასება ჯერ ადრეა, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ განყოფილების დაარსებიდანვე რაღაც გულცივობა და უფერულება ეტყობა: ის არ იყო არც უნდა ყოფილიყო და ის არ არის რაც უნდა იყოს.

მოყვარეს პირში უძრახე, ნათქვამია, ჩვენც პირ და პირ ვიტყვით, რასაც ვხედავთ. უწინარეს ყოვლისა ამ ზამთარში მის სასარგებლოდ გამართულმა საღამომ უფერულად ჩაიარა, როგორც შინაარსის, ისე შემოსავლის მხრივ. რასაკვირველია ამაში თელავის საზოგადოების გარდა, თვით გამგეობასაც უდევს ბრალი, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ მან გული უნდა გაიტეხოს და საქმეს თავი მიანებოს: პირ-იქით შრომა უნდა გაორკეცდეს რომ თუ დღეს არა, ხვალ მაინც შეიგნოს საზოგადოებამ რა დიდი საქმეა უვიც ხალხისთვის ანბანის სწავლება და თვითონვე უთხოვნელად აღმოუჩინოს დახმარება.

წერა კითხვის გავრცელებას, სკოლის დაარსებას და სხვა საქმის მოგვარებას სახსარი უნდა. 50—80 წევრის გადასახადი ვერ შესძლებს თუ საზოგადოებამ არ მიიღო მხურვალე მონაწილეობა და დახმარება არ აღმოუჩინა გამგეობას. **დავიწყებული.**

# ჭრელი შენიშვნები

### აფხაზეთისა და აფხაზთა შესახებ.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი და წაუშლელი კვალი დასტოვა იმ მხრივ მაინც, რომ საზოგადოების აზრი აამოძრავა და აამუშავა. თუ, პოეტის არ იყოს, მანამდის მთელს საქართველოს „სალათას ძილით ეძინა", დღეს კი თუ განთავისუფლება ვეღარ მოასწრო, მკვდრეთით აღდგომის და გამოღვიძების სურვილი მაინც დიდია. პროვინცია იღვიძებს და კიდევაც გაიღვიძებს, რაც ჯოჯოხეთურს საშუალებას არ უნდა მიმართონ ბნელმა ძალებმა მის დასაძინებლად. მხოლოდ, რა თქმა უნდა, მხნე და ენერგიული ხელმძღვანელია საჭირო, რათა ხალხის ენერგიამ სასურველი მიმართულება მიიღოს... საერთო ფერხულს აფხაზეთიც არ ჩამორჩა. აფხაზმა მწარე გამოცდილებით შეიგნო ის ჭეშმარიტება, რომ მის ძალთა გარეშე მისთვის ხსნა და შველა არსად არ არის, და ამიტომაც ზღაპრებსა და ილლიუზიების სამთავროს შორდება და საქმეს, ნაყოფიერსა და სასარგებლო საქმეს ორივე ხელით ეჭიდება. საიმედო ნიშნები ამ გამოღვიძებისა ჯერ-ხნობით მაინც ყველაზე უფრო მკაფიოდ და გარკვევით გამოიხატება სწავლისადმი უსაზღვრო მისწრაფებაში. მდიდარი თუ ღარიბი, გლეხი თუ აზნაური—ყველა უკანასკნელ ლუკმას აღარ იშურებს, ოღონდ თავისს შვილებს მეტი ცოდნა, მეტი შეგნება მისცეს ცხოვრების ულმობელ ტალღებთან საბრძოლველად. რაც უფრო სასიხარულოა, ჩვენმა გლეხობამ შეიგნო, რომ ამ უკუღმართ სენთან—უვიცობასთან ნაყოფიერი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ შეერთებულის ძალღონით, და სწორედ ამ გზას დაადგა იგი. აი, მთელმა სამურზაყანომ ერთხმად გადასწყვიტა საშუალო სამეურნეო სასწავლებელი დაარსოს გალის სამრევლო საოსტატო სკოლასთან (двухклассная церковно-учительская школа). სამურზაყანოელი მთავრობაც ადგილობრივი სამრევლო სკოლის მეთვალ-ყურის პირით ჰპირდება ხარჯების ნახევარში მოგიდგებიო. დაბა გუდაუთამ რის ვაი-ვაგ-

ლახით და როგორც იყო დაიარსა ვაჟთა პროგიმნაზია; ოჩემჩირეში უკვე გაიხსნა სამოქალაქო სასწავლებელი და სხვა და სხვა. ამ ჟამად მე მსურს მკითხველის ყურადღება შევაჩერო აძვიბაქელებზე. სოფელი აძვიბაქა (შუა-წყალი, კოდორი) სძევს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე და შესდგება სულ ას-სამოცი კომლისგან (160). აი ამ პატარა საზოგადოებამ თავი გამოიდო და არა ერთსა და ორს საზოგადო საქმეს მოჰკიდა ხელი. ჯერ იყო სასოფლო დუქნები გაიშენა, რომელიც ყოველ წლიურად აძლევს 300—400 მანეთს ნაღდ შემოსავალს; ამ ზამთარში მეორე მეტად სასარგებლო საქმეს მიჰყო ხელი: საცაა დამთავრდება საზოგადო წისქვილის აშენებაც, რომელიც ყოველ წლიურად არა ნაკლებ ასი თუმნისას მისცემს. შარშანვე დაიწყეს აძვიბაქელებმა სკოლის უზარმაზარ შენობის აშენება, რომელიც მთავრობის „სმეტით" 14,500 მანეთამდის ეღირება. აი, ამ პატარა, გარნა დიდი სურვილით შეერთებულმა და შეკავშირებულმა სოფელმა თითქმის სხვის დაუხმარებლად ამთავრებს ამ მეტის-მეტად სასარგებლო საქმესა; ხუმრობა როდია ას-სამოცი მოსახლესათვის ოცი ათასად ღირებულ შენობის გაკეთება, გარნა საქმე ჩინებულად მიდის იმის წყალობით, რომ საზოგადოებამ შეიგნო, თუ რაშიაცაა ხსნა და შველა. უფრო სასიხარულოა ის, რომ ეს პატარა საზოგადოება სხვისგან ძალა დაუტანებლივ და ერთ სულად მოქმედებს. მე დავესწარი ამ კრებას, რომელზედაც დაადგინეს ამ სასკოლო შენობის აშენების შესახებ განაჩენი. აი აქ კრებაზე ერთ კაცს ხმა აღარ ამოუღია ამ საქმის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ამავე საზოგადოებამ 7 წლის წინად თითქმის ერთხმად უარი ჰყო და არ მიიღო ისეთი მზა-მზარეული სკოლა, რომელიც მისგან თხოულობდა მარტო შეშასა და ნავთსა. აი რა დიდი ნაბიჯი წასდგა წინ ამ პატარა სოფელმა. მხოლოდ სამწუხაროდ სხვა და სხვა ვაჟბატონთ სოფლის სიბნელეში ბედის მაძიებელთა წყალობით სოფელი აძვიბაქას სკოლის საკითხში ჩამოაშორეს ამავე საზოგადოებას სოფელი ათარა, რითაც დიდი ზარალი მიაყენეს თვით ათარელთ: მათ შვილთ ეხშობა გზა ამ სკოლისკენ!

აქვე აღარ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი ფაქტიცა. როგორც მთავრობა, აგრეთვე სოხუმის საზოგადოება დიდს დახმარებას, ზნეობრივს თუ ქონებრივს უწევს ამ შემთხვევაში სოფელ აძვიბაქას. ასეთსავე დახმარებას მოელოდნენ ადგილობრივ უჩასტკის უფროსისაგან, გარქა მოსტყუვდნენ. ამ ბატონის „პრიკაზით" დაინიშნა კრება ათსელ-აძვიბაქელთ უთანხმოების მიზეზთა გამოსარკვევად. ამ კრებას თვით პირადად უნდა დასწრებოდა. ჯერ სამ დღეს აცდევინა და აღარ მოვიდა; მე-4 დღესაც კი იმდენად ბახუსის გავლენის ქვეშ მყოფი ჩამოვიდა, რომ არავითარი საქმე აღარ ეკითხებოდა... მან ქვეით განაგრძო, ხოლო ექვსი კაცი კიდევ ორ დღეს გააჩერა... მორიგების მაგიერ საქმე ერთიანად გააფუჭა. აუწერელია ამ ვაჟბატონის მოქმედება.

ვუსურვებ რა სრულს გამარჯვებას აძვიბაქელთ ამ საშვილიშვილო საქმეში, ამასთანავე აღარ შემიძლიან არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ეს საქმე აქვს აღებული ბ. საჩინო იოსელიანს, რომლის გამოცდილება და საქმის სიყვარული თავდება, ამ შენობის კეთილად აგებისა და დამთავრებისა. მთელი აფხაზეთი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ამ სკოლას და სიხარულით მოელის მისს კეთილად დაგვირგვინებას, და აი ამიტომ როგორც ბატონს საჩინოს, აგრეთვე საქმის მოთავეთ ჰმართებს მეტი მხნეობა, მეტი თავის გამოდება, რომ საქმის სასურველად გათავებით დანარჩენი სოფლებიც ამ გზაზე დააყენოს.

მაშ, გამარჯვება თქვენ, კეთილი საქმის მოთავენო!! **ჰამუთ-ბეი.**

## ქუთათური ბანკობანა

ადამიანს... მაღალ ქმნილებას,
განა შეშვენის და ეკადრება,
რომ მთლად გადაყვეს მის პირადობას
მინაურებზე ანრისხებდეს გულს,
და ვერ ხედავდეს, მეტის სიფიცხით,
მის დასაღუპავ, მტერს მაზე მოსულს?

აკაკი.

როგორც მოგეხსენებათ ქუთათურები ფრიად სახელგანთქმული და გაქნილი „მეკენჭეები" გახლავართ. ჩვეულებრივ დროს განცხრომით და მყუდროთ ვცხოვრობთ, უკვდავ ლოუარსაბივით უზრუნველობასა და ძილს მივსცემივართ და საგულისხმიერო, საარსებო საკითხებს სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ. მაგრამ საკმარისია მოახლოვდეს „კენჭობას" ნეტარი დრო, რომ ჩვენს მოდუნებულს ცხოვრებას ერთობ მძლავრი მაჯის ცემა დაეტყოს. ჩვენი „ქირისუფალნი" საჭირბოროტო საკითხებისადმი გულგრილნი ამ დროს დაუშრეტელ მხნეობასა და გონების საოცარ გამჭრიახობას იჩენენ. ჯერ მხოლოდ ხმები გავრცელდა ბანკზე მთავრობის ოპეკის მოხსნის შესახებ და მაშინვე ცხარედ სამზადის შეუდგნენ, პარტიებათ დარაზმდნენ. „სახელოვან მამულიშვილთ" განვლილი გამოცდილება და გაკვეთილები საკეთილოდ ვერ გამოუყენებიათ, შეთანხმება ვერ მოუხერხებიათ და ნეტარხსენებულ „კალისტრატიზმს" უბრუნდებიან, რომელმაც, როგორც უწყით, ბანკი დაღუპვის კარამდე მიიყვანა და მთავრობის „მზრუნველობაც" გამოიწვია. აქ უნებურად მაგონდება ერთი რუსი მოხელის სიტყვები, რომელმაც ჩვენი ავტონომიისა და ავტოკეფალიის შესახებ დაახლოვებით ასეთი „მარგალიტი" აზრები წარმოსთქვა: „თქვენთვის, ქართველებისათვის ყოველგვარი თვითმართველობა დამღუპველი და გამანადგურებელი არის და იქნება. ამას თვალნათლივ მაგალითებს თქვენში არსებული „სახალხო" დაწესებულებანი იძლევიან, რომელთა რიგიანი ხელმძღვანელობა ვერ მოგიხერხებიათ. აი თუგინდ აიღეთ თქვენი საადგილ-მამულო ბანკი, აქაც მთავრობის დაუხმარებლად ძალი პატრონს ველარ ცნობილობდაო".

მართლაც ჩვენს დაწესებულებათ და თვითმართველობათ რომ თვალი გადაავლოთ მწარე სინამდვილე ბოლმითა და კაეშნით აღგივსებთ გულს: თითქმის ყველგან აწეწილია საქმეები, არც ერთს არ უხეირნია და უვარგის ხელმძღვანელების წყალობით უდროვოდ განუსვენია. ჩვენი ასეთი დაკნინების უპირველესი მიზეზი თვით ჩვენ უკუღმართ ხასიათში მარხია, მტრობა, შური, პირადი ანგარიშები, გაუტანლობა, ღალატი და საზოგადო საქმის სავსებით დავიწყება, აი ჩვენი მრავალტანჯულ ქვეყნის უმთავრესად დამაუძლურებელი და დამღუპველი სენი წარსულშიაც და აწმყოშიაც. ჩვენ სულიერად იმდენად ვერ ავმაღლებულვართ, რომ პირადი ანგარიშები და ინტერესები დროებით მაინც დავივიწყოთ და მსხვერპლად მივიტანოთ საზოგადო საქმის საკურთხეველზე. ამნაირად ვიწრო სადღეისო ინტერესებით დაბრმავებულნი ჩვენივე ფეხებით შეუბრალებლად ვსთელავთ ჩვენს ღვიძლს საკუთარ საქმეს და სამერმისოთ ყელს ვიჭრით.

31 მაისს დაიწყო ქუთაისის სადგილმამულო ბანკის კრებები. აქ, სხვათა შორის, უნდა აირჩიონ ბანკის მართველი, მთავრობის რწმუნებულ ერემიევის ნაცვლად. ერემეევის ნაცვლად ადგილობრივ მოწინავე ვაჭართა და ინტელიგენტთა ჯგუფს ამ ადგილზე სახეში ჰყავდათ სასურველი კანდიდატი, რომლისგანაც პატიოსნად და სინდისიერად საქმის წარმოებას მოელოდენ. არც მოსტყუვდებოდნენ. მაგრამ კანდიდატმა დაინახა რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ძლიერი რაზმი მზადდება და ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა, რაც ჩვენი აზრით ამ ხანად მოსაწონი არ არის. ოპოზიციის კანდიდატურათა შორის არჩევანზე ყველაზედ მეტი შანსი მას ჰქონდა და ახლა რაღაც გამოურკვეველი მიზეზების გამო განზე გადგომა უადგილოა, რადგან ამით მოწინააღმდეგეებს საშუალებას აძლევს გამარჯვებლად... მოწინააღმდეგების კანდიდატზე ამბობენ რომ იმის „მოღვაწეობა" კალისტრატიზმს მოგვანატრებსო.

ეს არჩევნები დაგვიმტკიცებს ვის სცემენ თაყვანს ამომრჩევლები, კეთილს თუ ბოროტს სულს დაგვანახებენ თუ რამდენად არიან საზოგადო ინტერესით გამსჭვალულნი.

დროა კი თავი დავაღწიოთ მავნებელ და დამღუპველ ვიწრო პირადობას. დროა ყოველივე ღონე მოვიკრიბოთ საქმის რიგიან კალაპოტში მოსათავსებლად. მაშინ გულ დამშვიდებით შეგვეძლება თვალები გავისწოროთ მომავალს და მოზარდ თაობის წინაშეც პირნათლად ვიქნებით, რომელთაც არ შეეძლებათ მოგვმართონ პოეტის საყვედურით ალსავსე სიტყვებით: „რა აკეთეთ, რას შვრებოდითო... **ფარ.**

## დავიწყებული სასწავლებელი

(სამღვდელოების დღევანდელ კრების გამო)

ქ. ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ, „ნემცების სასაფლაოს ქვემოდ" (ასე ეძებენ ხოლმე) არსებობს სასულიერო წოდების ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ქალაქ ტფილისის და ტფილისის მაზრის სამღვდელოების და ეკკლესიის ხარჯით ინახება. სასწავლებელს წლიწადში ჩვიდმეტ-თვრამეტი ათასი მანეთი სჭირდება შესანახად და ამიტომაცაა, რომ მისი არსებობა მძიმე უღლად აწევს ისედაც დაქვეითებულ საყდრებს და სამღვდელოებას. ვიცი, მაგალითად, საყდარი, რომელიც ყოველ წლობით სამოც თუმნამდე იხდის ამ სასწავლებლის სასარგებლოდ და თვითონ კი რამოდენიმე ათასი მანეთი ვალი ჰმართებს.

ცხადია, რომ ასეთ საფუძველზე არსებულ სასწავლებლის მართვა-გამგეობა სულ ერთიანად შემნახველების—სამღვდელოების და მრევლთა წარმომადგენლების ხელთ უნდა იყოს. ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ. შემნახველებს თითქოს დავიწყებიათ კიდევაც ამ სასწავლებლის არსებობა. იხდიან ფულებს როგორღაც ინერციულად, იხდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ასე იხდიდნენ მათი წინამოადგილენი, და სასწავლებლის სვე-ბედისა კი არა იციან რა. მთელი წარმომადგენლობა შემნახველებისა წინეთ იმაში მაინც იხატებოდა, რომ ირჩევდნენ ორ დეპუტატს სასწავლებლის გამგეობის წევრებად. მაგრამ უკანასკნელ წლებში დეპუტატიც კი მთავრობისაგან დაინიშნა, რადგანაც სასწავლებლის გათამამებული გამგეობა მოვალედ არ სთვლიდა თავს თუნდ სინიდისის გასაწმენდად მაინც მოეწვია სასწავლებლის შემნახველების წარმომადგენელთა კრება, ხოლო კრების გარეშე დეპუტატის არჩევა, რასაკვირველია, შეუძლებელია. არსებულ პირობებში. დაუჯერებელია, მაგრამ სინამდვილეა, რომ უკანასკნელი მორიგი კრება მოხდა 1898 წელს და მას შემდეგ თორმეტი წლის განმავლობაში სამღვდელოებას და მრევლს არა გაუგიარა რა სასწავლებლისა გარდა იმისა, რომ ფულს არც კი „ახდევინებენ", პირდაპირ დაუკითხავად ხაზინაში უჭერენ სამღვდელოებას ჯამაგირიდან. თუ აქვს საყდარს შეძლება, გადაუხდის მღვდელს თავის წილს. თუ არა და—საყდრის და სამღვდელოების გადასახადს ნებაუნებლივ მხოლოდ მღვდელი იხდის. ამის მაგალითები ბევრია...

ჩვენი კანონმდებლობა, რომელიც აღმასრულებელთა სურვილისამებრ რეზინის ნივთივით ხან გრძელია და ხან მოკლე, გადაწყვეტილად არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა დროს უნდა ხდებოდეს მორიგი კრება სასწავლებლის შემნახველთა. ეს ალბათ სასწავლებლის ბიუროკრატიის „უსმოტრენიეს" ეკუთვნის, როგორც მისი ხელსაყრელი პრივილეგია. მაგრამ უწმინდეს სინოდის 1865 წლის 13—20 დეკემბერის დადგენილებაში, რომელიც ახლაც ძალაშია, მაინც გადაჭრით არის ნათქვამი, რომ კრება ირჩევს ადგილობრივ სამღვდელო პირთა შორის არა ნაკლებ ორის დეპუტატისა სასწავლებლის გამგეობის წევრებად სამი წლის ვადით. ცხადია, რომ გულუბრყვილობით და იმედებით ბედნიერ კანონმდებელს სახეში ჰქონდა, რომ სამ წელიწადში ერთხელ მაინც მოხდებოდა მორიგი კრება, მაგრამ ავჭალის ქუჩაზედ ასეთი კრება 1898 წლის შემდეგ მხოლოდ დღეს მოხდა.

ეს ცხადი აბუჩად აგდებაა მრევლის და სამღვდელოებისა და მხოლოდ სასწავლებლის დღევანდელი გამგეობაა პასუხისმგებელი იმ დაცინვაში, რასაც თავისთავად წარმოადგენს დღევანდელთ კრების მოწვევა. ხოლო ეს კრება რომ მართლა დაცინვა და სასაცილოა, ეს სჩანს თუნდ, იქიდან, რომ თოთხმეტ საკითხში, რომელიც კრებამ უნდა განიხილის, თერთმეტი შეეხება სასწავლებლის შესანახად ფულის გაღებას და გადასახადის მომატებას. ჩვენ დღევანდელ პირობებში არაფერ იმედებს არ ვამყარებთ კრებებზე,—მათი არც ძალა გვწამს და არც საქმიანობა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ზრდილობისთვის მაინც შეეკითხებოდეს სასწავლებლის შემნახველთ. დღეს კი გამოდის, რომ როცა სასწავლებელს ფული ჰყოფნის, შემნახველთა აზრის ცოდნა და გაგება მეტია. ხოლო როცა ახალი გადასახადების გაწერაა საჭირო, შემნახველებს ეუბნებიან: შეგიძლიანთ მობრძანდეთ და ბევრი ფული მოგვიტანოთო.

საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს დღევანდელმა კრებამ და გადაჭრით მოითხოვოს, რომ მორიგი კრებები უფრო ხშირად ხდებოდეს. **ახელი.**

## რუსეთი

◆ **ბერ გრიგოლ რასპუტინ-ნოვიხის ოინები.** პეტერბურგში გაჩნდა ერთი მოხუცი ბერი გრ. რასპუტინი, რომელსაც საკუთარი „სარწმუნოებრივ—ფილოსოფიური" თეორია შეუმუშავებია და ქადაგობს—როგორ უნდა აცხონოს ადამიანმა სული.

— მე ვარ ქრისტეს ნაწილი, ეუბნება თვის „მოწაფეთ" რასპუტინი, და მხოლოდ ჩემით შეგიძლიანთ სცხონდეთ. ამისთვის საჭიროა შემიერთდეთ სულით და სხეულით. ყველაფერი, რაც ჩემგან გამოდის, არის წყარო ნათელისა, გამწმენდელი ცოდვათაგან". ამით ბევრი მიმდევარნი იშოვა მეტადრე ქალებში, რომელთაც მისი „მოძღვრება" პრაქტიკულად განახორციელეს. მისი საქციელი იცოდნენ მაღალ წრეებშიც, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ხშირად თუ ვინმე შეეკითხებოდა—შეესაბამება თუ არა მისი ქცევა ეკლესიას, იგი უპასუხებდა—მე და ეკლესია ვერ შევრიგდებით და ორივემ სხვა და სხვა გზით უნდა ვიაროთ. ეკკლესია მე არ მჭირია. მე ვჭირივარ ეკლესიასო. მან მოიარა ყაზანი, სარატოვი, კიევი, სამარა და ყველგან ბლომად მოულობდა მიმდევართ. დიდ მარხვაში ეპისკოპოს ფეოფანეს 25-მდე წერილი მიუვიდა სხვა და სხვა პირებისაგან, რომელშიაც სთხოვდნენ რამე ზომები მიეღო რასპუტინის წინააღმდეგ. აი სხვათა შორის რას სწერს ხსენებულ ეპისკოპოზს ერთი ქალი: თქვენო ყოვლად უსამღვდელოებავ! მე თქვენ გიყურებდით როგორც ქრისტეს მოადგილეს, როგორც წმიდანს, პატივს ვცემდი თქვენს ღირსებას, მეგონა, რომ მარტო ქრისტეს მოყვარენი იყვნენ თქვენს ირგვლივ, მაგრამ გარშემო წყეულებიც გყოლიათ. ასეთია რასპუტინი. ამას წინათ ერთმა ნაცნობმა ქალმა მოიყვანა ჩვენთან სახლში რასპუტინი. ყველას დიდიან პატარიანად გაგვეხარდა მისი მოსვლა და დიდის ამბით მივიღეთ. ჩემს ორ 16 და 17 წლის ქალს იგი დაუახლოვდა. ერთხელ ქუჩაში მივდიოდი და დავინახე, რომ მოხუცი და ჩემი ორი ქალი აბანოდან გამოვიდნენ. ვერ წარმოიდგენთ იმ გრძნობებს, რა გრძნობებიც მაშინ აღმეძრა გონებაში. მათი გაგება მხოლოდ შვილების მოყვარე დედას შეუძლიან.—ეხლა კი ამობრწყინდა მათზე ნათელი ჭეშმარიტებისა და განიწმინდნენ ცოდვებისაგან, წარმოსთქვა მან სატანიური ღიმილით მე რომ დამინახა. მეორე მისი მიმდევარი ქალი სწერს: მე გრ. რასპუტინთან ერთად ციმბირში მივდიოდი. მან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ მშობლები მივატოვე და მას გავყევ. ცალკე კუპეში ვიყავით. დიდი ხანი მელაპარაკა ღმერთზე, მეორედ მოსვლაზე, სულის ცხონებაზე. მერე უცებ მომეხვია და კოცნა დამიწყო. დიდი ხანი მკოცნა მან. შემდეგ... გამწმინდა ცოდვებისაგან. ამის შემდეგ ასჯერ მუხლი მომაყრევინა და თვითონაც მოიყარა. მე შევეკითხე ცოდვა ხომ არ ჩავიდინეთ მეთქი. არა, შვილო ჩემო, მომიგო მან. ეს ცოდვა არ არის. საჭმელი ღმერთმა დაგვინიშნა და ჩვენც ვჭამთ, თუმცა ეს ცოდვაა. სხეულიც ღმერთისაგან არის ბოძებული და ჩვენც მით უნდა ვისარგებლოთ. თუ ასჯერ მუხლი მოვიყარეთ ეს იმიტომ, რომ წყეულმა ჩამომძახა, რომ მე ცოდვა ჩავიდინე. აი, შვილო, კიდევ ვქნათ ეგ და ცოდვებისაგან სავსებით განიწმინდები. ჩემთან სხეულით შეერთება ცოდვა არ არის. ამაში გამოიხატება ჩემი შენდამი სულიერი სიყვარული. უნდა გიყვარდეს მოხუცი, რადგან მოხუცს შეუძლია ასეთი სულიერი სიყვარულიო. ამასთან მითხრა, რომ აღსარებაზე მღვდლისთვის არაფერი მეთქვა და სხვა. ბოლოს როგორც იქნა იგი პეტერბურგიდან გააძევეს, მაგრამ უარესი ხდება სოფელ პოკროვსკში, სადაც იგი სცხოვრობს თორმეტი „დით". რამდენი ამასთანა ხდება მართლმადიდებელ რუსეთში.

## განცხადებანი

იყიდება ღვინო ათასი ვედრო

მსურველმა უნდა მიმართოს 4 ივნისამდის შემდეგ ადრესზე კრუზენშტეინის ქ. № 4, ბინა 25. ხოლო 4 ივნისს შემდეგ სოფ. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის მამულში. (1—1000—1)

ხანში შესული კაცი.

ეძებს, კასირის ან სახლების გამგის ადგილს. რიგიანი და ქალაქში ცნობილი და სანდო კაცებისაგან აქვს რეკომენდაცია—თავდებობა. თანახმაა სოფელშიც წავიდეს.

ადრესი: **გოლოვინის პროსპექტი საბრანიის ქვეშ „კოფე ლონდონი".** (2—306—1).

ეფრემვერდი

**(სურათებით)**

დაიბეჭდა და იყიდება. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს მიხეილ ზარიძეს, ანჩისხატის ქუჩა, № 17. თითო წიგნი ეღირება 1 მან. 50 კ. ვინც გამოიწერს, დაეთმობა 1 მან. (3—305—1)

იყიდება

მამული წინანდალში, თელავის მაზრაში, საუფლისწულო მამულის გვერდით 2500 ოთხკ. საჟ. ნახევარი ვენახი და ნახევარი ცალიერი ადგილი ექვსი ოთახით და მარნით. პირობების გასაგებად უნდა მიმართოთ თელავში ალექსანდრე ჯიბგაევს. (3—1058—2)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

„როზა"

(„ვარდი")

**ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—21)

მოითხოვეთ სწორე და გამძლე საათები!

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ-ფასიან საათებს! კარგ საათებს ყოველთვის შესაფერი ფასი აქვს. პარიზის უკანასკნელი სიტყვა.**



200 მანეთიან ოქროს საათების ნაცვლად ვურჩევთ შეიძინონ კაცის საათი, დახურული სამ-ხუფიანი **„სეცესია"**, რომელსაც ისეთივე გარეგნული სახე აქვს, კარგად მუშაობს, რადგან ელექტრონის საშუალებით 14 პროცენტიანი ოქრო აქვს გადაკრული. ამ საათის მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიისა არის, წკრიალა ხმა, 15 ქვიანი, მომართვა ყურიდან ყოველ 40 საათში ერთხელ. ეს საათები ნამდვილ ახალ ოქროსია. კარგი ღირსებისათვის საათები დაჯილდოვებულია ოქროს მედლებითა და სხვა ნიშნებით. ფასი 5 მ. 25 კ., 2 ცალი 10 მ., 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს რწმუნდება, რომ ის 250 მ. ღირს. მსურველს გაეგზავნება წუთით-წუთამდე სწორე საათი. სრული პასუხის მგებლობა ლითონის ღირსებისათვის და საათის სწორე მუშაობისათვის 6 წლის განმავლობაში. საათები გაიგზავნება ფასდადებით და უბეღთაც. თუ საათი **არ მოეწონებათ, ფულს უკან ვაბრუნებ.** გაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). საათის გამომწერელს **უფასოდ** ეგზავნება მშვენიერი კოსტა მეწკვი ახალი ოქროსი, ბრელოკით და ზამშის ბუდე საათის შესანახად ადრესი:

Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Креста 48 отд. 12.

ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

Метцль и К-о N 34140, (4—6.—4)

დიდი იაფობა

20 მაისიდან 10 ივნისამდე

პარიზის მაღაზია

დამზადებულ ტანისამოსისა

მმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

ნიშნავს დიდ

იაფობას

20 მაისიდან—10 ივნისამდე 1910 წ.

ფასები შეუდარებლად

გოლოვინის პროსპექტი ტელეფონი № 258 (10—8)

20 მაისიდან 10 ივნისამდე

დიდი იაფობა

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა.**